



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 1/ 2018

თბილისი

27 იანვარი 2018 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15.00
სხდომის დასრულების დრო: 15.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი;
2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი;
3. პროფ. არჩილ ლორია;
4. პროფ. ლელა ნადიბაიძე;
5. პროფ. მაკა სალხინაშვილი;
6. პროფ. თამარ ლალიაშვილი;
7. ასოც. პროფ. დავით გეფერძე;
8. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე;
9. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი;
10. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე;
11. უფრ. მასწ. მია კოპალეიშვილი;
12. სტუდენტი ალექსანდრე კუჭავა
13. სტუდენტი იაგო შაკაია

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

დღის წესრიგი:

თჰუ სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე (მომხ. პროფ.კ.ყურაშვილი)

მოისმინეს:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2017–2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დასასრულს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკმარისი კრედიტები მოაგროვა და საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებული იყო 4 სტუდენტი; მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 2018 წლის 27 იანვარს გაიმართა საბაკალავრო ნაშრომების საჯარო დაცვა/პრეზენტაცია, სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომების დაცვის დარგობრივმა კომისიამ წარმოადგინა საბაკალავრო ნაშრომების დასკვნითი და საბოლოო შეფასების უწყისები (თან ერთვის ორივე უწყისის ქსეროასლები), რომელთა მიხედვითაც ყველა სტუდენტმა მიიღო დადებითი შეფასება და შესაბამისად მოიპოვეს საბაკალავრო ნაშრომისათვის პროგრამით განსაზღვრული 10 ECTS კრედიტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მიენიჭოს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შემდეგ კურსდამთავრებულთ:

1. დავითი ჯალაღონიას;
2. დათო ჭონქაძეს;
3. რატი გაჩეჩილაძეს;
4. მარიამ ახვლედიანს.

აზრი გამოთქვას: პროფ. ა. ლორიამ და სტუდენტმა იაგო შაკაიამ

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვეტეს:

1. მიენიჭოს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულთ:

1. დავითი ჯალაღონიას
2. დათო ჭონქაძეს
3. რატი გაჩეჩილაძეს
4. მარიამ ახვლედიანს

2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე :

მდივანი:



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე